



5. 35-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. დასაქმებული ვალდებულია უზრუნველყოს ორსული ქალის დაცვა ისეთი შრომისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან ნაყოფის კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას. დასაქმებული ვალდებულია შექმნას მისი დასვენებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული სპეციალური მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობები“.

6. 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დაუშვებელია დასაქმებულის სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევის გამო ან/და დასაქმებულის მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდში, ან დასაქმებულის ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში ყოფნის პერიოდში.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი